THE POPULATION OF THE SAMTSKHE-JAVAKHETI REGION FROM ANCIENT TIMES TO THE TWENTIETH CENTURY

მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

უძველესი დროიდან XX საუკუნემდე

IRMA ABESADZE

Doctor of History
Invited Lecturer at Samtskhe-Javakheti State University
113 Rustaveli str. 0800, Akhaltsikhe, Georgia
+995591411265, irmaabesadze@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-4384-6075

Abstract. The present study examines the quantitative, ethnic, and confessional dynamics of the population of Samtskhe-Javakheti from ancient times to the end of the nineteenth century. The research is based on a comparative analysis of archaeological, historical, fiscal, and statistical sources. Particular attention is devoted to the methodological challenges of estimating population size, especially for periods in which direct census data are unavailable. Special emphasis is placed on the Ottoman *Great Defter of the Gurjistan Vilayet*, the cameral censuses of the Russian Empire, and the materials of the 1897 General Census.

The study demonstrates that the population of Samtskhe-Javakheti underwent significant changes during different historical periods under the influence of political, military, religious, and migratory processes. Ethnodemographic transformations intensified particularly during the sixteenth–nineteenth centuries and were closely associated with Ottoman rule, the Muhajir migration process, the imperial policies of Russia, and the administrative-statistical classification of the population. The research further reveals that the official censuses of the nineteenth century often failed to reflect the actual ethnic composition of the region, as population identification was largely based on linguistic and religious criteria.

Keywords: Samtskhe-Javakheti; demography; population census; ethnic composition; confessional structure; 1897 Census; population studies.

ირმა აბესაძე

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113, 0800, საქართველო
+995591411265, irmaabesadze@gmail.com
https://orcid.org/0009-0006-4384-6075

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობრივი, ეთნიკური და კონფესიური დინამიკა უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დასასრულამდე.

კვლევა ეფუძნება არქეოლოგიური, ისტორიული, საგადასახადო და სტატისტიკური წყაროების შედარებით ანალიზს. განხილულია მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიური პრობლემები, განსაკუთრებით იმ პერიოდებისთვის, როდესაც პირდაპირი აღწერის მონაცემები არ არსებობს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოსმალური პერიოდის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს", რუსეთის იმპერიის კამერალურ აღწერებსა და 1897 წლის საყოველთაო აღწერის მასალებს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მნიშვნელოვნად იცვლებოდა პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური და მიგრაციული პროცესების გავლენით. XVI-XIX საუკუნეებში რეგიონში განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაციები, რაც დაკავშირებული იყო ოსმალთა ბატონობასთან, მუჰაჯირობასთან, რუსეთის საიმპერიო პოლიტიკასთან და მოსახლეობის ადმინისტრაციულ-სტატისტიკურ კლასიფიკაციასთან. კვლევა აჩვენებს, რომ XIX საუკუნის ოფიციალური აღწერები ხშირად ვერ ასახავდა რეალურ ეთნიკურ სურათს, რადგან მოსახლეობის იდენტიფიკაცია ძირითადად ენისა და რელიგიის მიხედვით ხდებოდა.

საკვანძო სიტყვები. სამცხე-ჯავახეთი; დემოგრაფია; მოსახლეობის აღწერა; ეთნიკური შემადგენლობა; კონფესიური სტრუქტურა; 1897 წლის აღწერა;

შესავალი. სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ სივრცეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს, რომელიც უძველესი დროიდან გამოირჩეოდა ინტენსიური დემოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული პროცესებით. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, სავაჭრო გზები და პოლიტიკური მნიშვნელობა განაპირობებდა როგორც მოსახლეობის ზრდას, ისე მრავალფეროვანი ეთნოკონფესიური გარემოს ფორმირებას. სხვადასხვა ეპოქაში სამცხე-ჯავახეთი არაერთი პოლიტიკური ძალის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებზე.

რეგიონის დემოგრაფიული ისტორიის შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იგი ნათლად ასახავს სამხრეთ საქართველოს ისტორიულ განვითარებას, მიგრაციულ პროცესებს, რელიგიურ ტრანსფორმაციებსა და ეთნიკური იდენტობის ცვლილებებს. აღნიშნული საკითხის კვლევა განსაკუთრებით რთულია ადრეული პერიოდებისთვის, რადგან მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა უმეტესად არაპირდაპირი მეთოდებით ხორციელდება — არქეოლოგიური მასალის, ისტორიული წყაროების, საგადასახადო დავთრების, საეკლესიო ჩანაწერებისა და სტატისტიკური აღწერების საფუძველზე.

სტატიის მიზანია, შეისწავლოს რეგიონის მოსახლეობის ფორმირების, ეთნიკური და დემოგრაფიული დინამიკის ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, დაადგინოს რეგიონის დემოგრაფიული და ეთნიკური სურათის დინამიკა, მიგრაციები, აგრეთვე გარე პოლიტიკური ფაქტორების გავლენა აღნიშნულ პროცესებზე.

სტატიაში განხილულია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობრივი და ეთნოკონფესიური დინამიკა პრეისტორიული პერიოდიდან XIX საუკუნის დასასრულამდე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოსმალური და რუსეთის იმპერიების ადმინისტრაციულ-სტატისტიკურ პრაქტიკას, მოსახლეობის აღწერის მეთოდოლოგიურ

თავისებურებებსა და 1897 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების ინტერპრეტაციის პრობლემებს. კვლევის მიზანია, ისტორიული წყაროებისა და სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს რეგიონის დემოგრაფიული განვითარების ძირითადი ტენდენციები.

მეთოდოლოგია. წარმოდგენილ სამეცნიერო სტატიაში გამოყენებულია კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები. რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი გამოყენებულ იქნა პრაქტიკული კვლევის პროცესში სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, სისტემატიზაციისა და პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით. ინდუქციის მეთოდის საფუძველზე, კონკრეტული ფაქტობრივი მასალის განზოგადებით, ჩამოყალიბდა საკითხის საერთო სურათი. კვლევის პროცესში გამოყენებულია აგრეთვე ისტორიულ-შედარებითი, ანალიზურ-სინთეზური და ქრონოლოგიური მეთოდები, რომლებმაც უზრუნველყო საკითხის კომპლექსური შესწავლა და შესაძლებელი გახადა კვლევის ძირითადი შედეგებისა და დასკვნების ფორმულირება.

შედეგები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების რამდენიმე ძირითადი ეტაპი. არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემების ანალიზით დადგინდა, რომ პრეისტორიულ პერიოდში რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა შედარებით მცირე იყო, თუმცა ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში შეინიშნება მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა და ურბანული ცენტრების ფორმირება.

შუა საუკუნეებში სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონად ყალიბდება, თუმცა არაბთა, სელჩუკთა და მონღოლთა შემოსევებმა მოსახლეობის შემცირება და მრავალი დასახლების დაცარიელება გამოიწვია. XIII საუკუნეში, მონღოლთა აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, რეგიონში მოსახლეობის რაოდენობამ დაახლოებით 200 ათასი კაცი შეადგინა.

XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ რეგიონში იწყება დემოგრაფიული კრიზისი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემებით, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველები და ქრისტიანები იყვნენ, თუმცა შემდგომ პერიოდში იზრდება მუსლიმი ქართველების რაოდენობა. მიუხედავად ისლამიზაციის პროცესისა, ეთნიკური სტრუქტურის კარდინალური ცვლილება ამ ეტაპზე ჯერ არ შეინიშნებოდა.

XIX საუკუნეში ვითარება მნიშვნელოვნად იცვლება. რუსეთ-ოსმალეთის ომების, მუჰაჯირობისა და სომხური მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლების შედეგად რეგიონში მკვეთრად იცვლება ეთნოდემოგრაფიული ბალანსი. ამასთან, რუსეთის ადმინისტრაციულ-სტატისტიკური პოლიტიკა ხშირად არასწორად ასახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ იდენტობას — ქართველი მუსლიმები აღირიცხებოდნენ „თათრებად“ ან „თურქებად“, ხოლო ქართველი კათოლიკეები — სომხებად.

1886 და 1897 წლების აღწერების ანალიზი აჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოს რაოდენობრივად გაიზარდა და 141 546 კაცს მიაღწია. ახალქალაქის მაზრაში სომხური მოსახლეობა წარბობდა, ხოლო ახალციხის მაზრაში ეთნიკური და კონფესიური სურათი უფრო მრავალფეროვანი იყო. სოციალური სტრუქტურის მიხედვით მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა (84,4%), რაც რეგიონში აგრარული ურთიერთობების დომინირებაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ისტორია გამოირჩევა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური გარემოს ფორმირებით, თუმცა რეგიონში ქართველური კულტურული და ისტორიული საფუძველი მთელი ისტორიის განმავლობაში შენარჩუნებული იყო. აღნიშნული საკითხების შემდგომი კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის, ისე ეთნიკური და კონფესიური პროცესების უფრო ღრმა გააზრებისთვის.

დისკუსია. სამცხე-ჯავახეთი ერთ-ერთი ყველაზე ადრეული დასახლებული სივრცეა საქართველოში. არქეოლოგიური მასალა მიუთითებს, რომ რეგიონის დიდი ნაწილი უკვე ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში მცირე სამეურნეო დასახლებების სახით იყო წარმოდგენილი, რომელსაც ახასიათებდა სეზონური მიგრაციები. პრეისტორიული ხანის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ არაპირდაპირი მეთოდებით, რომელიც გარკვეულ არქეოლოგიურ მონაცემებსა და გამოთვლებს ეფუძნება. კერძოდ, ნამოსახლარების რაოდენობა, მათი ფართობი და საცხოვრებელი ნაგებობების რაოდენობა,[1] მოსახლეობის გადანაწილება და სიმჭიდროვე, ლანდშაფტისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინება, გენეტიკური სტრუქტურის ანალიზი და სხვ.[2] ამგვარი მიდგომა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. II–I ათასწლეულში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატებოდა 5–10 ათას მოსახლეს.

შედარებით იზრდება მოსახლეობის რაოდენობა ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოსა და ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში, როდესაც სამცხე-ჯავახეთი შედიოდა ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში. ამ დროს ჩნდება უფრო მოზრდილი და მუდმივი დასახლებები, თავმოყრილი ციხე-სიმაგრეების გარშემო. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობა რეგიონში უნდა გაზრდილიყო 20-40 ათასამდე.

სამცხე-ჯავახეთი მჭიდროდ დასახლებულ და ხალხმრავალ მხარედ ჩანს ადრეულ შუა საუკუნეებშიც. ეს პერიოდი აღინიშნა მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და ახალი ქალაქების ჩამოყალიბებით (მაგ. ახალციხე, აწყური, თმოგვი, ასპინძა, მოგვიანებით - ახალქალაქი). მოსახლ;ეობის ზრდას ხელს უწყობდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონ მეფეთა და სასულიერო პირთა მოღვაწეობა, ხოლო მოგვიანებით სამცხის ათაბაგთა პოლიტიკური სტაბილურობა. პერიოდულად მოსახლეობის რაოდენობა მცირდებოდა, მაგალითად, კატასტროფული სიტუაციაა არაბობის დროს. ხშირ შემთხვევაში უკაცრიელდებოდა ბევრი დასახლებული პუნქტი. ისტორიულ წყაროები მოწმობენ არაბების, თურქ-სელჩუკებისა და მონღოლთა ამაოხრებელი ლაშქრობების მძიმე შედეგებს სამცხე-ჯავახეთისთვის. გამუდმებულ ომებს თან ერთვოდა მიწისძვრები, მოუსავლიანი წლები, ეპიდემიები და სხვ. მიუხედავად ამისა, რეგიონი წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და დასახლებულ ნაწილს.

---

[1] მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა გამოითვლება შემდეგნაირად: საცხოვრებელი სახლების რაოდენობა × ერთ სახლში მცხოვრებთა საშუალო მაჩვენებელზე.

[2] საქართველოზე პრეისტორიული პერიოდის მოსახლეობის რაოდენობის პირდაპირი, რაოდენობრივი კვლევები (population estimates) პრაქტიკულად არ არის გამოქვეყნებული არც ქართულ და არც ინგლისურ ენაზე. ეს სფერო ძალიან სპეციფიკურია და მონაცემები მწირია, ამიტომ მეცნიერები იყენებენ ზოგად მეთოდოლოგიას, შემდეგ კი ახდენენ მონაცემთა ადაპტირებას კონკრეტულ რეგიონზე.

აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა, რა თქმა უნდა, ძნელია. გამოთვლა წარმოებს არაპირდაპირი მონაცემების გზით, მაგ. სტატისტიკური რეპროდუქციის, ისტორიული წყაროების ანალიზის ან დემოგრაფიული ანალოგიის (შედარებითი მიდგომა) მეთოდების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პერიოდულად ტარდებოდა აღწერები, მაგრამ ამ აღწერების შედეგები ან დაკარგულია ან არ იძლევა მოსახლეობის რაოდენობის ზუსტად დადგენის საშუალებას ცალკეული კუთხეების მიხედვით. სუმბატ დავითის ძის მიხედვით, ქართლში VII საუკუნეში სტეფანოზის ერისმთავრობის დროს ,,ქუეყანაი ქართლისა აღწერეს და წარიღეს საბერძნეთს'' (ქართლის ცხოვრება, ტ.1, 1955, გვ. 323). რიგით მეორე აღწერა ბიზანტიელების მიერ უნდა ჩატარებულიყო XI საუკუნის 20 -იან წლებში, მაგრამ არც ამ აღწერის შედეგებია ცნობილი. შემდეგი აღწერა ჩაატარეს უკვე მონღოლებმა 1254 წელს. აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მილიონს უდრიდა. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, ვ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ სამცხე-ჯავახეთში სულ მცირე 200 ათასი კაცი ცხოვრობდა (ლორთქიფანიძე, 1992, გვ. 44).

კატასტროფულად მცირდება მოსახლეობის რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში მომდევნო საუკუნეებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალებმა დაიპყრეს. აუტანელი პირობებისა და ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნის შიდა რაიონებში, ძირითადად, ქართლისა და იმერეთის სამეფოებში გადასახლდა, ნაწილი თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა, ნაწილი კი შეეგუა ახალ მმართველობას. მუდმივი ომები, მძიმე გადასახადები და ძალადობა იწვევდა ქართული ქრისტიანული მოსახლეობის მკვეთრ შემცირებას.

მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელიც 1595 წელსაა შედგენილი ოსმალების მიერ მოსახლეობის დაბეგვრის მიზნით. დავთრის მონაცემების მიხედვით, ვ. ლორთქიფანიძის გაანგარიშებით[3], XVI საუკუნის ბოლოს სამცხე-საათაბაგოში 101 864 კაცი ცხოვრობდა, აქედან სამცხეში - 31 400, ხოლო ჯავახეთში - 8 344 კაცი, მთლიანად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 39 744 კაცს შეადგენდა. მოსახლეობის 95 %-ზე მეტი ქართველები იყვნენ და 97% - ქრისტიანები. დავთარში ყოველი მუსლიმის სახელს გაკეთებული აქვს სპეციალური ნიშანი (ლორთქიფანიძე, 1992, გვ. 46).

XVI საუკუნიდან XIX საუკუნემდე არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, თუმცა პროფესორმა ვ. ჯაოშვილმა არაპირდაპირი გზით გამოთვალა მხარის მოსახლეობა 1770 წლისთვის. მისი აზრით, სამცხე-ჯავახეთში ამ დროისთვის ცხოვრობდა 34 ათასი კაცი (ჯაოშვილი, 1984, გვ. 48). როგორც ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობა ოსმალთა ბატონობის პირობებში შემცირდა. ამასთან, მოიმატა ქართველი მუსლიმების რიცხვმა. თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში ,,მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მხრივ კარდინალურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია და მესხეთის მიწა-წყალზე თურქთა მასობრივი ჩამოსახლება არ ყოფილა" (ქიმაძე, 2004, გვ. 24).

ეროვნული შემადგენლობის მხრივ ცვლილებები რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ომების შედეგად სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის შემოერთების შემდეგ მოხდა. ქართველი მუსლიმების და თურქების დიდმა ნაწილმა დატოვა ეს მხარე და თურქეთში გადასახლდა. გადასახლების პროცესი (ე.წ. ,,მუჰაჯირობა") გრძელდებოდა მთელი

[3] გამოთვლა მოხდა კომლთა რაოდენობის რვაზე გამრავლებით.

XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში. ამასთან, ის გამაჰმადიანებული ქართველები, ჯერ კიდევ წმინდა ქართულით მოლაპარაკენი, ვინც სამშობლოში დარჩა, რუსეთის მთავრობამ ,,თათრებად" მონათლა (ფრონელი, 1991, გვ. 40). რასაკვირველია, ეს ფაქტი მათ აღმსარებლობას უსვამდა ხაზს და არ მიანიშნებდა ეროვნებაზე. მკვლევარი კლარა ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველთა გამუსლიმების შემთხვევაში მესხურ გვარებს აცილებდნენ დაბოლოებას - ,,შვილი", ,,ძე" და უმატებდნენ თურქულ ,,ოღლის" (ბარათაშვილი, 1997).

რუსეთის იმპერიამ ადგილობრივ სკოლებში გააბატონა რუსული და თურქული ენები, დიდი რაოდენობით ჩამოასახლა სომხები. მხოლოდ 1829 წელს, სამცხე-ჯავახეთში 25 ათასი სომეხი გადმოასახლეს. ისინი სახლდებოდნენ ქართველების მიერ ახლად მიტოვებულ სოფლებში, რომელთა სახელებიც კი არ შეუცვლიათ. თუ საქართველოში 1800 წელს 47 ათასი სომეხი ცხოვრობდა, 1832 წელს მათი რაოდენობა 84 ათასი გახდა. ამავე დროს აქტიურად მიმდინარეობდა კათოლიკეთა ქართველობის უარყოფა და ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად გამოცხადება. წირვა ძალდატანებით სომხურ ენაზე შეცვალეს (ლორთქიფანიძე, დემოლოგია, 2018, გვ. 166-167). პერმანენტული სახე მიიღო რეგიონში თურქების, ქურთების, ბერძნებისა და რუსების ჩამოსახლებამ.

XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი ცვლილები მოხდა აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ. თურქების გაანგარიშებით, 1828 წლისთვის ჯერ კიდევ ახალციხის საფაშოდ წოდებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 34 283 ოჯახი (დაახლ. 280 000 ადამიანი). აქედან ახალციხის სანჯაყში ცხოვრობდა დაახლოებით 39 000 კაცი. დიუპრეს მოწმობით, მარტო ქალაქ ახალციხის მცხოვრებთა რაოდენობა აღემატებოდა 40 000-ს. შ. ლომსაძის გაანგარიშებით, 1828-29 წწ. ომის დაწყებამდე ახალციხის საფაშოს შემოერთებულ ნაწილში (10 სანჯაყი) ცხოვრობდა დაახლოებით 106 000 ადამიანი; ქალაქ ახალციხეში ცხოვრობდნენ მუსლიმი ქართველები, მართლმადიდებლები, კათოლიკეები, თურქები, ქართველი ებრაელები და სომხები - დაახლოებით 30 000 კაცი (ლომსაძე, 2011, გვ. 319); ომის პერიოდში დაღუპულთა და შემდეგ თურქეთში გადახვეწილთა რაოდენობა იყო დაახლოებით 60 ათასი კაცი. მათგან ორ მესამედს შეადგენდნენ მუსლიმი ქართველები. ამის გამო, გაჩნდა თავისუფალი მიწების დიდი რაოდენობა, რომელთა უმეტესობა რუსეთის მთავრობამ სახაზინოდ აქცია და სომხური მოსახლეობა ჩაასახლა. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. შოთა ლომსაძე: ,,ეს იყო ჩვენი ეროვნული კატასტროფა, რამაც საქართველოში უხმაუროდ ჩაიარა" (ლომსაძე, 2011, გვ. 320).

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული აღწერის დავთრები. როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სტატისტიკური მონაცემების შეკრებას და იმპერიის შემადგენლობაში შესული მხარეების ფისკალურ-ეკონომიკურ შესწავლას. ამ მიზნით ტარდებოდა ე.წ. კამერალური აღწერები, სადაც მოცემული იყო კომლების რაოდენობა, სულადობრივი შემადგენლობა, მათ მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი, ძირითადი საქმიანობა და ა.შ. ამგვარი აღწერები არ იყო სრულყოფილი, ხშირი იყო უხეში შეცდომები, მაგრამ ეს აღწერები მაინც უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს აღნიშნული პერიოდის დემოგრაფიული მდგომარეობის, მათ შორის, მოსახლეობის რაოდენობის დადგენისთვის.

პირველი კამერალური აღწერა საქართველოს გუბერნიის მოხდა ჯერ კიდევ 1803 წელს გენ პ. ციციანოვის ცირკულარის საფუძველზე (გუგუშვილი, 1949, გვ. 669). კამერალური აღწერა ჩატარდა 1816-1817 წწ., ასევე 1831-1832 წლებში. ამ უკანასკნელის დროს სხვა რეგიონებთან

ერთად აღწერილ იქნა ახალციხის ყოფილი საფაშოც. აღწერები ჩატარდა 1841-43 წწ., 1849-51 წწ., 1857-59 წწ. XIX ს-ის 60-იანი წლებიდან მოხდა გარკვეული ცვლილებები ამიერკავკასიის სტატისტიკურ შესწავლაში. კერძოდ, შეიქმნა საგუბერნიო და საოლქო სტატისტიკური კომიტეტები. 1867 წლიდან ჩამოყალიბდა კავკასიის სტატისტიკური კომიტეტი, რის გამოც უფრო ორგანიზებული და მეცნიერული ხასიათი მიეცა კავკასიის სტატისტიკურ შესწავლას (გუგუშვილი, 1949, გვ. 684).

1865 წელს გუბერნიებისა და მაზრების მიხედვით, პოლიციის მოხელეთა მიერ შეკრებილ იქნა ცნობები მოსახლეობის რაოდენობისა და ზოგიერთი სტრუქტურული მაჩვენებლის (ეროვნება, რელიგია) მიხედვით. ამ მონაცემებით, ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა 20 ათასი ქართველი მუსლიმი (ლორთქიფანიძე, 1993, გვ. 16).

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ასევე საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცული საეკლესიო-მეტრიკული (სამრევლო) წიგნები 1819 წლიდან 1921 წლამდე. 1880 წლის სამრევლო წიგნების მიხედვით, ახალციხის მაზრაში 45 169 კაცი ცხოვრობდა - ქართველები, სომხები, თათრები.[4] სომხები ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქ ახალციხეში (76%), ხოლო ქართველები უმეტესად სოფლებში ბინადრობდნენ, კერძოდ, აღრიცხულია 17 300 კაცი, მათ შორის 4 337 მართლმადიდებელი, 12 963 მუსლიმი ქართველი.

ვაჟა ლორთქიფანიძის მონაცემებითაც, სამცხე-ჯავახეთში 1880 წლისთვის ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და ,,თათრები" (22 499 ქართველი, 49 590 სომეხი, 16 400 ,,თათარი"). ამასთან ახალციხის მაზრაში ქართველები სჭარბობდნენ სომხებს (18 150 ქართველი, 16 886 სომეხი), ხოლო ახალქალაქის მაზრში სომხური მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო - 4 279 ქართველი, 32 704 სომეხი (ლორთქიფანიძე, 1993). რაც შეეხება ,,თათრებს", მათი გარკვეული ნაწილი წარმოშობით ქართველი იყო, მაგრამ მაჰმადიანობის გამო აღრიცხავდნენ ,,თათრებად".[5] ეროვნებას უცვლიდნენ იმ ქართველებსაც, ვინც კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი იყო. მათ სომხებად წერდნენ. ამის გამო, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა რაიმე სერიოზული მიგრაციული პროცესების გარეშეც ქართველების საწინააღმდეგოდ იცვლებოდა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და იმპერატორის ბრძანების საფუძველზე, 1886 წლის 24 თებერვალს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის რიგ რეგიონებში საოჯახო სიების შედგენის შესახებ.[6] აღნიშნული ღონისძიების ძირითად მიზანს წარმოადგენდა სამხედრო სამსახურისთვის გასაწვევ პირთა რაოდენობის დადგენა, აგრეთვე კომლთა საგადასახადო პოტენციალის შეფასება. აღწერის პროცესში აღირიცხებოდა რესპონდენტთა ასაკი, რელიგიური იდენტობა, სალაპარაკო ენა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები.

მოპოვებული მონაცემები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის ეთნოკონფესიური სტრუქტურის შესასწავლად. ამასთან, აუცილებელია, აღინიშნოს აღწერის მონაცემთა ინტერპრეტაციის სირთულეები: კერძოდ, იმ ქართველებს, რომლებიც მონათლულნი იყვნენ გრიგორიანული წესით, აღწერაში სომხებად აფიქსირებდნენ; ქართველი კათოლიკეები ხშირად ფრანგებად იყვნენ რეგისტრირებული, ხოლო მუსლიმი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი — „თათრებად" (თოფჩიშვილი, 2014).

---

[4] თათრებად აღრიცხულთა გარკვეული ნაწილი სინამდვილეში მუსლიმი ქართველები იყვნენ.

[5] ამ შემთხვევაში, თათარი არა ეთნიკურობის, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინია.

[6] კამერალურ აღწერებს ზოგჯერ საოჯახო სიებსაც უწოდებდნენ, მაგ. 1886 წლის აღწერა (თოფჩიშვილი, 2021, გვ. 7).

1886 წლის აღწერის მონაცემებით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა სულ შეადგენდა 122 590 კაცს. მათგან 33 001 ქართველი იყო, 61 426 სომეხი და 16 114 ,,თათარი". სომხებად და თათრებად მიჩნეულთა დიდი ნაწილი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ქართველები იყვნენ. ამას ადასტურებს აღწერებში მითითებული გვარების წარმომავლობა და სალაპარაკო ენად ქართულის დასახელება, თუმცა რელიგიად მითითებული აქვთ სომხურ-გრიგორიანული, სომხურ-კათოლიკური ან მაჰმადიანური სარწმუნოება.[7]

1886 წელს საოჯახო სიებით რეგიონში თურქი მოსახლეობა არ ფიქსირდება. „ეროვნება თურქი" შედარებით გვიან, 1897 წლის აღწერის მასალებში ჩნდება. რა თქმა უნდა, თურქები მაშინ არ შემოსულან საქართველოში, ისინი აღწერაში გამოჩნდნენ პირველად, რასაც თავისი ახსნა აქვს და პირდაპირ არის დაკავშირებული რუსეთის ადმინისტრაციულ-სტატისტიკური კატეგორიების ევოლუციასთან იმპერიული სტატისტიკის განვითარების პროცესში. კერძოდ, 1897 წლის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერამდე, მოსახლეობის აღრიცხვა ძირითადად რელიგიური ნიშნით მიმდინარეობდა და არა ეთნიკური/ეროვნული იდენტობით. მუსლიმი მოსახლეობა ერთიან კატეგორიად ფიქსირდებოდა („მაჰმადიანები"), რაც მოიცავდა როგორც ოსმალურ/თურქული წარმოშობის ჯგუფებს, ისე ადგილობრივ ქართველ მუსლიმებს, იგივე „თათრებს" მაშინდელი ტერმინოლოგიით. რაც შეეხება 1897 წლის საყოველთაო აღწერას, ეთნიკური კუთვნილების მთავარი მახასიათებელი რელიგიასთან ერთად ამჯერად გახდა მშობლიური ენა. ამიტომ ქართველი მუსლიმები, რომლებიც, ძირითადად, თურქულად საუბრობდნენ, ენობრივი კუთვნილების გამო, თურქებად ჩაწერეს.[8] ვაჟა ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ ,,თათარსა და თურქს შორის აღრევას ადგილი არ ჰქონია და, რომ 1897 წელს აღრიცხული თურქები ძირითადად ქართველები არიან. ამ მიზეზითაა სწორედ შემცირებული ქართველების რაოდენობა 1886 წელთან შედარებით 14 337 კაცით" (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 154).

1897 წლის საყოველთაო აღწერის ჩატარების შესახებ დადგენილება 1895 წელს გამოსცა რუსეთის იმპერატორმა. როგორც ცნობილია, მანამდე ჩატარებული აღწერები არ ატარებდა საყოველთაო ხასიათს, ხდებოდა ცალკეული ოლქების აღწერა მხოლოდ. დადგენილების მიხედვით, იმპერიის ყოველ მცხოვრებზე უნდა შეკრებილიყო ინფორმაცია შემდეგი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით:

1. სახელი
2. ოჯახური მდგომარეობა
3. სამეურნეო მდგომარეობა
4. სქესი
5. ასაკი
6. წოდება
7. რელიგიური კუთვნილება
8. დაბადების ადგილი
9. ჩაწერის ადგილი

[7]აღნიშნულ საკითხზე საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული როლანდ თოფჩიშვილს. იხ. ეთნოისტორიული ეტიუდები", წიგნი I, თბილისი, 2005 წ.

[8] ტერმინი „თურქი" ამ დროისთვის არ წარმოადგენდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეროვნულ კატეგორიას, უფრო გულისხმობდა ენობრივ-კულტურულ მახასიათებელს, ეთნიკური მნიშვნელობით მისი გამოყენება დაიწყო მოგვიანებით.

10. საცხოვრებელი ადგილი
11. მშობლიური ენა
12. განათლება
13. საქმიანობა
14. ფიზიკური ნაკლი (Ананьева, б.д.)

როგორც ვხედავთ, აღწერა არ ითვლისწინებდა პირდაპირი ფორმით ,,ეროვნული კუთვნილების" განსაზღვრას, იდენტობის მთავარი კრიტერიუმი იყო მშობლიური ენა/რელიგია და არა ეთნიკური/ეროვნული თვითიდენტიფიკაცია. ეთნიკური სტრუქტურის რეკონსტრუქცია შესაძლებელია სწორედ აღწერის ენობრივ-რელიგიური მონაცემების საფუძველზე. ამ შემთხვევაში მთავარი სირთულე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაკავშირებულია მოსახლეობის იმ ნაწილის იდენტიფიცირებასთან, რომელთაც მშობლიურ ენად მითითებული აქვთ თურქული და რელიგიად ისლამი.

აღწერა ჩატარდა 1897 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, თუმცა ბევრგან მონაცემების შეკრება უფრო ადრე დაიწყეს. 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებდა. მაგ. არაზუსტია მონაცემები განათლების შესახებ, რადგან მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნა მხოლოდ ნაწილობრივ ფიქსირდება. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ხშირად არასწორადაა კლასიფიცირებული. რელიგიური მონაცემებიც არასანდოა, რადგან ბევრი ადამიანი მალავდა თავის სარწმუნოებას. აღწერას თან ახლდა ინფორმაციის ნაკლებობა და მოსახლეობის წინააღმდეგობა.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობა აღწერის მიხედვით შეადგენდა დაახლოებით 125,7 მილიონ ადამიანს, საშუალო ასაკით 21 წელი. მოსახლეობის უმრავლესობა გლეხები იყვნენ (77%), ხოლო ქალაქებში ცხოვრობდა მხოლოდ 13%. სქესთა თანაფარდობა თითქმის თანაბარია, მცირედით ქალთა სიჭარბით. ოჯახი საშუალოდ 5,8 წევრისგან შედგებოდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გაუნათლებელი იყო (78,9%), განსაკუთრებით ქალები. რელიგიურად უმრავლესობას მართლმადიდებლები შეადგენდნენ (69,9%), ასევე მნიშვნელოვანი იყო მუსლიმთა, კათოლიკეთა და სხვა კონფესიების წილი.

მოგვიანებით აღწერის მასალები გამოიცა რამდენიმე წიგნად, მათ შორის თბილისის გუბერნიის შესახებ, სადაც შედიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები. მასში თავმოყრილია აღწერის ძირითადი მონაცემები, რომლებიც გვაძლევს წარმოდგენას ძირითად ტენდენციებზე (Тройницкий, 1905).

სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობდა 141 546 კაცი[9], აქედან ახალქალაქის მაზრაში - 72709, ხოლო ახალციხის მაზრაში - 68837 მცხოვრები ირიცხებოდა. ქალაქ ახალქალაქის გარეშე მაზრის სოფლების მოსახლეობა შეადგენდა 67269 ადამიანს, ხოლო ქალაქ ახალციხის გარეშე - 53480-ს (Тройницкий, 1905) ***(იხ. დანართი 1).***

ახალციხის მაზრაში მოსახლეობის ენობრივი განაწილება შემდეგნაირი იყო:

- თურქული — **35.06%**
- სომხური — **22.00%**
- თათრული (აზერბაიჯანული) — **17.97%**
- ქართული — **17.74%**
- რუსული — **2.53%**
- ქურთული — **2%**

[9] 1886 წელთან შედარებით 19 ათასით მეტი.

- სხვა ენები (ჯამურად) — **2.7%** [10]

ახალქალაქის მაზრა:

- სომხური — **72.26%**
- თათრული — **9.04%**
- ქართული — **8.87%**
- რუსული — **7.09%**
- ქურთული — **1.11%**
- თურქული — **0.41%**
- სხვა — **~1%**[11]

წოდებრივი კუთვნილების შესახებ არსებული მონაცემები მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა რეგიონის სოციალური სტრუქტურის თავისებურებათა შესახებ. მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენდა, რაც იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური წყობისათვის დამახასიათებელ სურათს ასახავს. რაოდენობრივი მაჩვენებლებით შემდეგ ადგილს იკავებდნენ ე.წ. „მეშჩანები“, ხოლო თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა რაოდენობა განსაკუთრებით მაღალი იყო ახალციხის მაზრაში, სადაც მათი რიცხვი 1289-ს აღწევდა. რაც შეეხება სასულიერო წოდებას, ამ მხრივ შედარებით მაღალი მაჩვენებელი ახალქალაქის მაზრაში ფიქსირდება ***(იხ. დანართი 2).***

რაც შეეხება კონფესიურ სტრუქტურას, აღწერის შედეგები ასახავს რეგიონულ თავისებურებებს: ახალქალაქის მაზრაში აშკარა დომინანტია სომხური გრიგორიანული მოსახლეობა, მაშინ როდესაც ახალციხის მაზრაში უფრო მრავალფეროვანი რელიგიური სურათია წარმოდგენილი — მართლმადიდებლების, მუსლიმებისა და სხვა ჯგუფების თანაარსებობით. სქესობრივი ბალანსი უმეტეს შემთხვევაში შედარებით თანაბარია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება მამაკაცთა მცირედი სიჭარბე, რაც შეიძლება აიხსნას როგორც მიგრაციული პროცესებით, ისე აღწერის სპეციფიკით ***(იხ. დანართი 3).***

დასკვნა. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ისტორია ნათლად ასახავს რეგიონის რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეთნოკულტურულ განვითარებას. მოსახლეობის რაოდენობა და ეთნოკონფესიური სტრუქტურა საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც ბუნებრივი, ისე სამხედრო-პოლიტიკური და მიგრაციული ფაქტორების გავლენით.

კვლევამ აჩვენა, რომ ისტორიული დემოგრაფიის შესწავლა განსაკუთრებით რთულია ადრეული პერიოდებისთვის, რადგან მონაცემთა უმეტესობა ფრაგმენტულია და მოსახლეობის რეკონსტრუქცია არაპირდაპირ მეთოდებს ეფუძნება. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ტიპის წყაროების (ოსმალური დავთრები, რუსეთის კამერალური აღწერები საყოველთაო აღწერის მონაცემები) შედარებითი ანალიზი შესაძლებელს ხდის, გამოიკვეთოს ძირითადი დემოგრაფიული ტენდენციები. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული არქეოლოგიური, ისტორიული, დემოგრაფიული და სტატისტიკური მასალა ცხადყოფს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნოკონფესიური სტრუქტურა ისტორიულ ეპოქათა

[10] „თურქული“ და „თათრული“ ერთად შეადგენს **~53%**-ს, თუმცა ეს არ ნიშნავს 53% ეთნიკურ თურქს, აქ შედის მუსლიმი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი.

[11] აქ აშკარაა სომხური დომინაცია (~72%), თურქულენოვანი ელემენტი ძალიან მცირეა, განსხვავებით ახალციხისგან.

განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი ომებისა, მიგრაციული პროცესებისა და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური გარდაქმნებისა, რეგიონი საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში განხორციელებულმა მიგრაციულმა და ადმინისტრაციულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის ეთნიკური და კონფესიური სურათი. ამავე დროს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ხშირად ვერ ასახავდა რეგიონში მოსახლეობის რეალურ ეროვნულ სურათს, რადგან აღრიცხვა უმეტესად ენობრივ და რელიგიურ ნიშნებს ეფუძნებოდა.

შედეგად, სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული ისტორიის კვლევა საჭიროებს როგორც სტატისტიკური მონაცემების კრიტიკულ ანალიზს, ისე ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებას, რაც აუცილებელია რეგიონის ეთნოდემოგრაფიული განვითარების ობიექტური სურათის აღსადგენად.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

Ананьева, О. (б.д.). Первая всеобщая перепись в России. Получено 27 03 2026 г., из narod.ru: https://informat444.narod.ru/museum/pres/pl-6-99.htm

Ананьева, О. (n.d.). *Первая всеобщая перепись в России*. Retrieved 04 30, 2026, from https://informat444.narod.ru/museum/pres/pl-6-99.htm

Тройницкий, Н. (1905). *Первая Всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. Тифлисская губерния.* Санкт-Петербург: издание Центрального статистического комитета Министерства внутренних дел, 1899-1905. Получено из https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/306869/1/

ბარათაშვილი, კ. (1997). *მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები.* თბილისი.

გუგუშვილი, პ. (1949). *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I.* თბილისი: სახელგამი.

თოფჩიშვილი, რ. (2014 წლის 01 10). *XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ.* მოპოვებული 2026 წლის 26 03, https://www.dzeglebi.ge/: https://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/me_19%20saukunis_mosaxleobis.html-დან

თოფჩიშვილი, რ. (2021). *XIX საუკუნის აღწერის დავთრები საქართველოს ეთნოისტორიული პრობლემების შესახებ.* თბილისი.

ლომსაძე, შ. (2011). *სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს-ის შუა წლებიდან XIX ს-ის შუა წლებამდე).* ახალციხე: ,,ახალციხის უნივერსიტეტი".

ლორთქიფანიძე, ვ. (1992). სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ისტორიული მიმოხილვა XIX საუკუნემდე. *მაცნე*, 4.

ლორთქიფანიძე, ვ. (1993). საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა XIX საუკუნის II ნახევარში. *ეკონომიკა*, 2-3.

ლორთქიფანიძე, ვ. (1998). *ისტორიული მესხეთი: დემოგრაფიული განვითარების პრობლემები.* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ვ. (2018). *დემოლოგია.* თბილისი.

ფრონელი, ა. (1991). *დიდებული მესხეთი.*

ქართლის ცხოვრება, ტ.1. (1955). თბილისი.

ქიმაძე, გ. (2004). *ქართული სახელმწიფოებრიობა და ,,თურქი მესხების" პრობლემა.* ინტელექტი.

ჯაოშვილი, ვ. (1984). *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX სს-ში.* თბილისი.

REFERENCES

Anan'eva, O. (b.d.). Pervaja vseobshhaja perepis' v Rossii. Polucheno 27 03 2026 g., iz narod.ru: https://informat444.narod.ru/museum/pres/pl-6-99.htm

Anan'eva, O. (b.d.). Pervaja vseobshhaja perepis' v Rossii. Polucheno 27 03 2026 g., iz narod.ru: https://informat444.narod.ru/museum/pres/pl-6-99.htm

Anan'eva, O. (n.d.). Pervaja vseobshhaja perepis' v Rossii. Retrieved 04 30, 2026, from https://informat444.narod.ru/museum/pres/pl-6-99.htm

Trojnickij, N. (1905). Pervaja Vseobshhaja perepis' naselenija Rossijskoj imperii 1897 g. Tiflisskaja gubernija. Sankt-Peterburg: izdanie Central'nogo statisticheskogo komiteta Ministerstva vnutrennih del, 1899-1905. Polucheno iz https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/306869/1/

baratashvili, k'. (1997). mahmadiani meskhebis kartuli gvarebi. tbilisi.

gugushvili, p'. (1949). sakartvelosa da amierk'avk'asiis ek'onomik'uri ganvitareba XIX-XX ss., t'. I. tbilisi: sakhelgami.

topchishvili, r. (2014 ts'lis 01 10). XIX sauk'unis mosakhleobis aghts'eris masalebi sakartvelos etnoist'oriisa da sotsialuri qopis shesakheb. mop'ovebuli 2026 ts'lis 26 03, https://www.dzeglebi.ge/: https://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/me_19%20saukunis_mosaxleobis.html-dan

topchishvili, r. (2021). XIX sauk'unis aghts'eris davtrebi sakartvelos etnoist'oriuli p'roblemebis shesakheb. tbilisi.

lomsadze, sh. (2011). samtskhe-javakheti (XVIII s-is shua ts'lebidan XIX s-is shua ts'lebamde). akhaltsikhe: ,,akhaltsikhis universit'et'i".

lortkipanidze, v. (1992). samtskhe-javakhetis mosakhleobis ist'oriuli mimokhilva XIX sauk'unemde. matsne, 4.

lortkipanidze, v. (1993). sakartvelos mosakhleobis erovnuli shemadgenloba XIX sauk'unis II nakhevarshi. ek'onomik'a, 2-3.

lortkipanidze, v. (1998). ist'oriuli meskheti: demograpiuli ganvitarebis p'roblemebi. tbilisi.

lortkipanidze, v. (2018). demologia. tbilisi.

proneli, a. (1991). didebuli meskheti.

kartlis tskhovreba, t'.1. (1955). tbilisi.

kimadze, g. (2004). kartuli sakhelmts'ipoebrioba da ,,turki meskhebis" p'roblema. int'elekt'i.

jaoshvili, v. (1984). sakartvelos mosakhleoba XVIII-XIX ss-shi. tbilisi.

დანართი 1. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაოდენობა 1897 წლის აღწერით მაზრების მიხედვით:

	მოსახლეობა	ქალი	კაცი
ახალქალაქის მაზრა	72 709	34 806	37903
ახალციხის მაზრა	68 837	32030	36 807
სულ:	141 546	66 836	74710

დანართი 2. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 1897 წლის აღწერით მაზრების მიხედვით:

	თავადაზნაურობა	სასულიერო	ვაჭრები	მეშჩანები	გლეხები	სხვა დანარჩენი
ახალქალაქის მაზრა	442	1202	103	3900	66263	799
ახალციხის მაზრა	1289	302	205	12693	53280	798
სულ:	1731 (1,2 %)	1504 (1,06%)	308(0,2%)	16593 (11.7%)	119543 (84,4 %)	1597 (1,1%)

დანართი 3. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა 1897 წლის აღწერით მაზრების მიხედვით: